შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი



პროფესიული მომზადების პროგრამა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კატალოგი

მარნეული
2021 წ

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მისიაა

- ✓ განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას ;
- ✓ იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;
- ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე;

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ხედვაა

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი “ 2024 წლისათვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს , ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ; ხელს უწყობს ადამიანურ ღირსებას , უნივერსალურ ადამიანურ უფლებებს და თავისუფლებას ყველასთვის განურჩევლად კაცის, ქალის, რასის, ფერის, რელიგიის და წარმომავლობისა.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიზანია

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით , რაც ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძველი იქნება.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ღირებულებებია

- ✓ საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და პრინციპების დაცვა ;
- ✓ პროფესიული ცოდნის გადაცემის უკომპრომისო ვალდებულება ;
- ✓ მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთდახმარების ვალდებულება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას.
- ✓ აუდიტორიული/საკლასო განათლების კომბინაცია „რეალურ სამყაროს“ გამოცდილებასთან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით;
- ✓ ძლიერი კოლაბორაციული ურთიერთობები კერძო სექტორთან , მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

რა არის პროფესიული მომზადების პროგრამა?

პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა , რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე -2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

რა არის პროფესიული გადამზადების პროგრამა?

პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა , რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან /და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და სერთიფიკატის დანართით.





პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება
ელექტრონული სისტემის მეშვეობით/ფორმლის
ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის
იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო
სისტემა/ შემდგომში - მართვის სისტემა

კოლეჯი,კანონმდებლობით დადგენილიწესითპროფესიულიმომზადების/პროფესიულიგადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ ამ პროგრამაზე რეგისტრაციასაცხადებს ღია ან დახურული წესით.

ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში მართვის სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება.

აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისთვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებ - გვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს , რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს მართვის სისტემის გამოყენებით . რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში , აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს კოლეჯი მართვის სისტემის გამოყენებით.

აპლიკანტის მიერგანხორციელებული რეგისტრაცია დასტურდებამის ელექტრონულფოსტაზეერთჯერადიკოდის გაგზავნით.

მართვის სისტემაში ავტორიზაციის გავლისშემდეგ აპლიკანტი ირჩევსპროფესიული მომზადების/პროფესიულიგადამზადების პროგრამას/პროგრამებს.
აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიულიგადამზადების პროგრამაზერეგისტრაცია.

პროფესიულიმომზადების/პროფესიულიგადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერწარმოსადგენიდოკუმენტებია:

ა) პირადი (არასრულწლოვანიპირისშემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პასპორტის/პირადობის დამადასტურებელიმოწმობისასლი (არასრულწლოვანიპირის შემთხვევაში დაბადების მოწმობისასლი, ასევე მისი კანონიერიწარმომადგენლის პასპორტის/პირადობის დამადასტურებელიმოწმობისასლი);

გ) განათლებისდამადასტურებელი დოკუმენტისასლი (უცხოეთშიმიღებულიგანათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერგანათლების აღიარების დამადასტურებელიდოკუმენტი);

დ) 2ფოტოსურათი;

ე) ოკუპირებულტერიტორიებზე მიღებულიგანათლებისშემთხვევაშიგანათლების აღიარების დამადასტურებელიდოკუმენტი.

არაქართულენოვანი პირის მიერქართულენოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაშიპირმა უნდა წარმოადგინოს ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტიასეთი დოკუმენტის არარსებობისას პირს უტარდება ტესტირებაკოლეჯის მიერპირის მიერ ქართული ენის ფლობის დონის დაუდასტურებლობის შემთხვევაშიპირი ვერ ჩაირიცხება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

მინიმალური ასაკი 18 წელი;

საბაზო განათლება;

აპლიკანტისთვის მომვლელის ფუნქციების რეალურ გარემოში გაცნობა პროგრამაზე სწავლის მყარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ;

ტესტირება..

ტესტირებას ატარებს დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია.

ტესტირების შედეგები აისახება აპლიკანტთა შეფასების ფურცელში
კომისიის მიერ ხდება ტესტირების შედეგების განხილვა და იმ აპლიკანტების
გამოვლენა,რომლებმაცგადალახეს წინასწარ დადგენილი მინიმალური
კომპეტენციისზღვარი,მოიპოვეს საკონკურსო უპირატესობა გამოყოფილი კვოტის
ფარგლებში.
ტესტირებაში თანაბარი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში აპლიკანტთა შერჩევა
მოხდება სკოლისატესტატის დანართში დაფიქსირებულისაბოლოო ნიშნების
საშუალო არითმეტიკულისსაფუძველზე.
ტესტირების შედეგების შეჯამება აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში
რომელსაცთან ერთვის აპლკანტების შეფასების ფურცელი.

გათვალისიწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისშემთხვევაშიკოლეჯი უზრუნველყოფსჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვისმსმენელის სტატუსის მინიჭებას,რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებულიხელშეკრულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამა

შინმოვლის სპეციალისტი

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 4
- პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში 13 კვირა
- სულ 390 სთ, კვირეული დატვირთვა30 სთ

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას , მოამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი ზრუნვის სისტემისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარის მქონე სპეციალისტი მომვლელი , რომელიც როგორც ბინაზე ასევე , სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება და საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) შეძლებს სწორი და ადექვატური საბაზისო მოვლის მომსახურების მიწოდებას ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების და პირადი უსაფრთხოების წესების დაცვის გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია შინმოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოუმუშაოს ისეთ ადამიანებს , რომლებსაც არა აქვთ სამედიცინო განათლება და მისცეს მათ დასაქმების საშუალება.

პროგრამის მოკლე აღწერა:

,,შინმოვლის სპეციალისტის'' მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს 18 წლის ასაკიდან, საბაზო განათლებით, ვისაც ააქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა /უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით

პროგრამის მოცულობა არის 390 საათი და გრძელდება 13 კვირა 30 სთ კვირეული დატვირთვით .

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელს შეუძლია:

განმარტოს ანატომიისა და ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები ;

აღწეროს ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები ;

შინმოვლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა ;

ეფექტური კომუნიკაცია შინმოვლაში;

შინმოვლის მომსახურების დაგეგმვა და ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა;

ბენეფიციარისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება ;

ბენეფიციარისთვის, მისი გარემოცვის წევრებისთვის რეკომენდაციების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში ;

ბენეფიციარის მოვლა სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით ;

ბენეფიციარის პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია კომპეტენციის ფარგლებში , დახმარების გაწევა და გადამისამართება.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს აქვს შინმოვლის სპეციალისტის პრაქტიკული უნარ -ჩვევები და შესაძლებლობა დასაქმების (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება და საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) ან/და თვითდასაქმების.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად და კონკრეტულადაა აღწერილი ცოდნისა და უნარების მიხედვით .

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან .

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს , დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები .

თემატიკა

შინმოვლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა (48 სთ)

შინმოვლის კონცეფცია;
შინმოვლის კომპონენტები - ფსიქოსოციალური და საბაზისო მოვლა ;
შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლები;
მოვლის თეორიული ასპექტები;
ეთიკის მნიშვნელობა შინმოვლის სფეროში ;
მომვლელის ფსიქო-ემოციური (სტრესი, ემოციების კონტროლი, გადაწვა და ა.შ.) მდგომარეობის სტაბილურობა;
დამოკიდებულების ხარისხის, უძლურების შეფასება - ბართელის უძლურების შკალა, ADL და IADL ტესტები;
ბენეფიციარზე დეტალური დაკვირვება ;
სასიცოცხლო მონაცემების შეფასება (გაზომვა);
უსაფრთხოებისა და პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა ინფექციის კონტროლის საკითხების გათვალისწინებით .

თემატიკა

ეფექტური კომუნიკაცია შინმოვლაში (12 სთ)

კომუნიკაციის პროცესი;
მოსმენის პროცესი;
საუბრის დაგეგმვა და წარმართვა ;
ეფექტური ინდივიდუალური და ჯგუფური კომუნიკაციის წესები და ბარიერები .

შინმოვლის მომსახურების დაგეგმვა და ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა (10 სთ)

დაგეგმვის პრინციპები;
მოვლის ინდივიდუალური გეგმა ;
მოვლის უსაფრთხო ადექვატური გარემოს შექმნა საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით (ბინის მოწყობა, ადაპტირება).

თემატიკა

ბენეფიციარისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება(80 სთ)

მომვლელის სწორი პოზიცია ბენეფიციართან მუშაობის დროს ;
ბენეფიციარის რეპოზიცირება საწოლში ;
სხეულის მოვლა;
საკვების და სითხის მიღება ;
დახმარება გამოყოფის დროს ;
სხვადასხვა დაავადებების დროს მოვლის თავისებურებები ;
შინმოვლის დოკუმენტაციის წარმოება .

ბენეფიციარისთვის, მისი გარემოცვის წევრებისთვის რეკომენდაციების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში (30 სთ)

დამოუკიდებლობის შენარჩუნება ;
მოვლის ტექნიკური დამხმარე საშუალებების გამოყენება ;
გართულებების და გამწვავებების თავიდან აცილების სწავლება /რეკომენდაცია (ნაწოლი, ყაბზობა, პნევმონია, კონტრაქტურა, თრომბოზი, სოკოვანი დაავადება , ინტერტრიგო, დაცემა, ცისტიტი).

თემატიკა

ბენეფიციარის მოვლა სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით(20 სთ)

მენტალური დარღვევების მქონე პირების მოვლა ;
გამომწვევი ქცევა - წინაპირობები, გამოვლინება;
ძალადობა და აგრესია - ამოცნობა, რეაგირება.

ბენეფიციარის პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების გაწევა და გადამისამართება (20 სთ)

პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები და გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები:
მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა ადგილზე გამოძახებული ჯანდაცვის გუნდისთვის.

თემატიკა

ანატომიისა და ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპების ცოდნა (30 სთ)

ანატომიისა და ფიზიოლოგიის ზოგადი პრინციპები
საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა;
ნერვული სისტემა
გრძნობათა ორგანოები და ენდოკრინული სისტემა ;
კარდიოვასკულარული და ჰემატოლოგიური სისტემა ;
რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი და შარდ -გამომყოფი სისტემები;
ლიმფური და იმუნური სისტემა ;
რეპროდუქციული სისტემა

თემატიკა

ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების აღწერა(30 სთ)

ორგანიზმში მიმდინარე პათანატომიური და პათფიზიოლოგიური პროცესები ;
ინფექციური და პარაზიტული დაავადებები ;
კუჭ-ნაწლავის სიტემის დაავადებები , სიმსუქნე და დიაბეტი;
გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებები
შარდ-გამომყოფი, ენდოკრინული და ნერვული სისტემის დაავადებების აღწერა

საწვლის პერიოდში გათვალისწინებულია პრაქტიკა 110 სთ კლინიკებში და პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებზე:

მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკი

ავერსი

შინმოვლის სამსახური მირამედი

რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი

მსმენელის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

მსმენელის შეფასება მის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით /პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მსმენელის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა , რომელიც აკონტროლებს მსმენელის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია მსმენელის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით . განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების , ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებითგანმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას . ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას

სწავლის შედეგი დადასტურდა ;

სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა .

მსმენელის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

.უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულებამდე. მსმენელს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტის მიმართებაში, ეძლევა მხოლოდ ორჯერ. მსმენელს აქვს უფლება შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი; პროგრამის ხელმძღვანელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია მსმენელის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს მსმენელის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს მსმენელის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი მსმენელს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ.

მსმენელის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება , თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა.
მსმენელის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება მსმენელის შეფასების უწყისით.
მსმენელის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები მსმენელისათვის სერთიფიკატისა და სერთიფიკატის დანართის გადაცემამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში , ხოლო მისი გადაცემის შემდეგ გადაეცემა არქვს და ინახება უვადოდ.

მეცადინეობები მიმდინარეობს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილ აუდიტორიაში

საკონტაქტო ინფორმაცია:

mscollege.edu@gmail.com

0322831921

(+995) 593 53 04 04

ჩვენს შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია ჩვენს ვებ გვერდზე:
Mscollege.ge

ჩვენი მისამართია

ქ. მარნეული 26 მაისის ქუჩა #80